# ბიულეტენი

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ორგანო

№4 (65) ივლისი-აგვისტო 2013 წელი

## წმ. ანტონ მარტყოფელი

## ზოგადსაკაცობრიო სატკივართან ბრძოლა თითოეული ჩვენგანის ვალია!

## შეხვედრა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის 2013 წლის ლაურეატებთან

ბიულეტენი გამოდის 2007 წლის ივლისიდან

# ვულოცავთ ანგელოზის დღეს

**თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ!**

სულითა და გულით გილოცავთ ანგელოზის დღეს და მთელი არსებით ვუერთდები ქართველი საზოგადოების თქვენდამი გულითად მილოცვებს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სიკეთეს, მშვიდობას, წარმატებებს დიდი მისიის აღსრულების გზაზე.

ბრძენს უთქვამს: ურწმუნოება თხელ ყინულზე გამავალი გზაა, რომელზეც ერთმა ადამიანმა შეიძლება გაიაროს, მაგრამ ერი უთუოდ გადაიჩეხება და დაიღუპება. 70-წლიანი ურწმუნოების ასეთ მყიფე გზაზე იდგა ჩვენი ერი და გამოსავალიც თითქმის არსაიდან ჩანდა... მაგრამ უფლის ნებითა და წყალობით გამოგვიჩნდა ადამიანი, რომელმაც თითქმის შეუძლებელი შეძლო - საუკუნეების მანძილზე ქართველთა სისხლით დაცული ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ კვლავ შემოაბრუნა ქართველი ერი.

თქვენო უწმიდესობავ, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე იმ უდიდესი ღვაწლისა და სიყვარულისათვის, რომელსაც მე და აფხაზეთის ყველა მკვიდრი განსაკუთრებულად ვგრძნობთ. თქვენ 11 წლის განმავლობაში ბრძანდებოდით აფხაზეთის მღვდელმთავარი და დაუღალავად ზრუნავდით თითოეულ ადამიანზე განურჩევლად ეროვნებისა. ჩვენთვის, ისევე, როგორც ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში მთავარი კვანძი არის აფხაზი ხალხის და არა აფხაზეთის ტერიტორიის დაბრუნება.

ღრმად მწამს, რომ ღმერთი შეისმენს თქვენს მხურვალე ლოცვას აფხაზეთის და თითოეული აფხაზის საქართველოსკენ შემობრუნებისათვის და ჩვენც თქვენთან ერთად გავიზიარებთ ამ დიდ სიხარულს!

ღრმა მოწიწებით და უდიდესი სიყვარულით

***ელგუჯა გვაზავა***
***აფხაზეთის ავტონომიური***
***რესპუბლიკის უმაღლესი***
***საბჭოს თავმჯდომარე***

აფხაზეთის საზოგადოებრიობის და მთელი ერის სახელით უდიდესი სიყვარულით და მოწიწებით ვულოცავ სრულიად საქართველოს სულიერ მამას ანგელოზის დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, სულის სიმხნევესა და დღეგრძელობას. დღეს ქართველ ერს, როგორც არასდროს, სჭირდება უწმინდესის სულიერი თანადგომა, მისი ლოცვა, რწმენა და სიბრძნე. ჩემი თანამემამულეების სახელით მადლობას ვუხდი აფხაზეთის მოსახლეობის ესოდენ დიდი სიყვარულისთვის, იმედის ჩასახვისთვის, რაც მისი ისედაც მძიმე ჯვრის უფრო მეტად დატვირთვას - *ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტობის შეთავსებას მოჰყვა*. დარწმუნებული ვარ, რომ უფალი შეისმენს მის მუხლჩაუხრელ მხურვალე ლოცვას აფხაზეთის საქართველოსკენ შემობრუნებისთვის. ვიცი, როგორ შესტკივა მას გული აფხაზეთზე, 11 წელი ჩვენი ეპარქიის მღვდელმთავარი იყო. პირადად მე ეკლესიაში მისი წყალობით მოვხვდი და პირველი ზიარებაც მისი ხელით მივიღე ჯერ კიდევ 1967 წელს.... ვიცი, როგორი ძვირფასია მისთვის თითოეული აფხაზი და ქართველი, ამიტომ ევედრება უფალს ქართველთა და აფხაზთა ღირსეული და მშვიდობიანი თანაცხოვრების აღდგენას.... მართალია, ჩვენ, აფხაზეთის მკვიდრნი, ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე ისტორიის მონაწილენი, უფრო სწორად, მემატიანენი გავხდით, მაგრამ იმავდროულად, მე ბედნიერი ვარ, რომ იმ ეპოქაში მიწევს ცხოვრება, როდესაც ერის ქომაგად და სულიერ მამად საქართველოს ჰყავს ასეთი უდიდესი პიროვნება, მსოფლიო ავტორიტეტი - უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. იმედია, აფხაზეთში დაბრუნების უდიდეს სიხარულსაც მასთან ერთად გავიზიარებთ.

***რაისა ძარაია***
***აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს***
***ფრაქციათა კოალიცია***
***„ქართული ოცნება - ერთიანი,***
***დემოკრატიული, სამართლიანი***
***საქართველოს“ თავმჯდომარე***

დღეს, ილია წინასწარმეტყველის ხსენების დღეს, მთელი მართლმადიდებელი სამყარო კიდევ ერთს - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II ანგელოზის დღეს აღნიშნავს.

უწმიდესო და უნეტარესო, თქვენ ჩვენთვის უზომოდ ძვირფასი ბრძანდებით - როგორც საქართველოს მოსახლეობის, და როგორც ჩვენი, აფხაზეთის მკვიდრთა მწყემსმთავარი, ადამიანებისა, რომლებმაც დევნილობის სიმწარე ვიგემეთ, მაგრამ, თქვენი წყალობით, არ დავკარგეთ სამართლიანი საქმის გამარჯვების რწმენა. თქვენი სიყვარული ადამიანებისადმი, აფხაზი ხალხისადმი გულწრფელია და ჭეშმარიტი და სწორედ ამიტომ გვჯერა თქვენი წარმატებისა სამშვიდობო პროცესში, რაც ვინმე სხვას დღეს ნაკლებად ხელეწიფება. გმადლობთ, რომ სამყაროში სიკეთესა და სიყვარულს თესავთ. სწორად არის ნათქვამი: “ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ“.

***სვეტლანა ძეცბა***
***აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის***
***ცენტრის თავმჯდომარე***

# ზოგადსაკაცობრიო სატკივართან ბრძოლა თითოეული ჩვენგანის ვალია!

ბევრი არ მეგულება დაწესებულება-ორგანიზაცია, ასე ზუსტად შეესაბამებოდეს თავის სახელწოდებას, ასე ზუსტად, თანმიმდევრულად და ჯიუტი გულმოდგინებით ახორციელებდეს ამ სახელწოდების შესატყვის საქმიანობას. ,,აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი“ მაქვს მხედველობაში. აგერ უკვე მე-7 წელია, ანუ 2006 წლიდან, თავის ირგვლივ იკრებს მშობლიურ მიწა-წყალს იძულებით მოწყვეტილ ადამიანებს და თავისი მოღვაწეობით ნათელი მომავლის, ანუ შინ დაბრუნების იმედს უნარჩუნებს, ეხმარება მათ იმაში, რომ არ დაიქსაქსონ, სულიერებას, მშობლიური მხარის სიყვარულს უღვივებს . . . ვინც კი ,,აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის“ მიერ გამართულ შეხვედრებს ( არ მინდა ცივი, ოფიციალური სიტყვა - ღონისძიება ვუწოდო) დასწრებია, დამეთანხმება, რომ აქ ნამდვილად სულიერება, კულტურაა მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამ ყველაფრს წარმართავენ ქ-ნი სვეტლანა ქეცბა და მისი გუნდი, თავად რომ ბრძანდებიან სულიერებისა და ფაქიზი კულტურის ნიმუშები.

როგორ ხდება ეს? აი, მაგალითად, დევნილ ახალგაზრდა თაობასა თუ უფრო ასაკოვნებს ეძლევათ შესაძლებლობა საკუთარი შემოქმედება გამოამზეურონ, გამოფინონ ნახატები თუ ნაქარგობა, ერთმანეთს წაუკითხონ საკუთარი პოეტური პწკარები, იმღერონ, დაუკრან, ასევე შეხვდნენ გამოჩენილ ადამიანებს და მათ ნააზრევსა თუ ნაუბარს ეზიარონ. ასეთი შეხვედრა-საღამოებიდან შინ დაბრუნებულებს რამდენიმე ხნის მანძილზე გულს უთბობს იქიდან გამოყოლილი ნათელი ემოცია. ჩვენს პრაგმატულ გარემოში, ფულადი ღირებულებების აღზევების ხანაში, ასეთ სიამოვნებასთან უსასყიდლოდ ზიარება ცოტას ხომ არ ნიშნავს! ბევრ დამწყებ ხელოვანს, მხატვარსა თუ მუსიკოსს, საჩუქარიც მიუღია, ფულადი ჯილდოც, მართალია, არც თუ დიდი თანხით გამოხატული, მაგრამ იქაური შექება, ქათინაური, ასეთ ატმოსფეროში ყოფნა ამგვარ თანხას აასკეცებს.

ხოლო ,,აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი“ არც აქ დასახელებული ღონისძიებებით იფარგლება. აი, უკანასკნელი ერთ-ერთი შეხვედრა, 2013 წ. 10 ივლისს რომ გაიმართა ცენტრის ოფისში, დაეთმო საკითხებს, შორს რომ სცილდება ჩვენი ქვეყნის პრობლემებს და გადაუჭარბებლივ ვიტყვი _ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას იძენს.

შეხვედრა გახსნა სვეტლანა ქეცბამ და სიტყვა გადასცა საქართველოში ჩეხური დიასპორის ,,ზლატა პრაღას“ საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ჰაროლდ შმალცელს, რომელმაც ისაუბრა ,,სულიერი უსაფრთხოების პრობლემების შესახებ.“ მოხსენებაში, როგორც სათაური იუწყება, კაცობრიობის სატკივარი იყო წამოჭრილი -უწიგნურობა და სულიერ-კულტურული ექსპანსია, ნარკომანია და ჰომოსექსუალიზმი, სექტანტობა და სულიერების დეფიციტი, და სხვა და სხვა, რაც ეროვნულ თვითმყოფობას ემუქრება, მცირერიცხოვანი ერების სახელმწიფოებრიობას უქმნის საფრთხეს. ეს ყველაფერი ხომ ჩვენი დროის უმწვავესი პრობლემებია, პრობლემები, რომელთაც მსოფლიოს ყველა თუ არა, მრავალი ქვეყანა განიცდის. ჩვენი მცირერიცხოვანი ერისათვის კი ამ პრობლემებთან შეუპოვარი ბრძოლა გადაუდებლივ რომ უნდა მოხდეს, ამაში დამსწრე საზოგადოება სრულიად ერთსულოვანი იყო. დიახ, ზნეობის, წიგნიერების, რწმენის, სარწმუნოების, კულტურის საკითხები, შეიძლება ითქვას ხსენებულ ,,დაავადებებთანაა“ მიბმული, რამეთუ უმეცრება, ათეიზმი, ეროვნული ნიჰილიზმი და სხვა, საწინდარია იმ მახეში ადვილად გასაბმელად, რომელსაც ნარკომანია, ჰომოსექსუალიზმი და სხვა მრავალი უკეთურობა უგებს ადამიანებს, განსაკუთრებით კი მოზარდ თაობას, ახალგაზრდობას, ანუ ქვეყნის არსებობის მომავალს.

ჰაროლდ შმალცელის მიერ წამოყენებული პრობლემების აქტუალობა ცხადზე უცხადესი იყო და არც მათი გადაჭრის აუცილებლობაში არავის შეჰპარვია ეჭვი. ამ სატკივართან ბრძოლის გზებშიც ერთსულოვნება გამოვლინდა _ ოჯახი, სკოლა, საზოგადოების თითოეული წევრი საკუთარ ვალდებულებად უნდა მიიჩნევდეს ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ, ვაი, რარიგ ძნელია ეს! რა რთულია ამის განხორციელება, სისრულეში მოყვანა, ყოველდღიურობაში ჩანერგვა . . . ამ ყველაფერზე საუბრობდნენ, მსჯელობდნენ კომპეტენტური პიროვნებები: არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს დევნილთა მხარდაჭერისთვის“, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მსოფლიოს მშვიდობის ელჩი დალილა ხორავა, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მსოფლიოს მშვიდობის ელჩი ვილენ ალავიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეონიდე ჯახაია, არქიტექტორი მიხეილ კაკაბაძე, წმ. სამების ტაძრის მღვდელმსახური მამა გურამი (ოთხოზორია), ფილოსოფიის დოქტორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აკაკი გასვიანი, რუსულენოვან ჟურნალისტთა ასოციაციის თავმჯდომარე მიხეილ აიდინოვი და სხვ.

რელიგია, ეკლესია, რომლისკენაც შემობრუნება დაიწყო საქართველომ, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების დღიდან, რაც დრო გადის, მით უფრო ცხოველმყოფელ გამოხატულებას იძენს. სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი მიილტვის ტაძრებისკენ, ეკლესიისაკენ, ე. ი. მეტი და მეტი ადამიანი ხდება ქრისტეს მიერ ნაქადაგები წეს-კანონების ერთგული მიმდევარი. წამოჭრილ პრობლემებთან ბრძოლაში ეკლესიას, რელიგიას და მის მესვეურებს დიდი, ქმედითი როლის შესრულება რომ ხელეწიფებათ, ამაზე ვრცლად ისაუბრა მამა გურამმა. მანვე ისიც ბრძანა, რომ არც ესაა საკმარისი, რელიგიასაც ჰყავს მტრები, მასაც ებრძვის ბოროტი ძალა. ამიტომ ყველამ, მათ შორის, პირველყოვლისა, საგანმანათლებლო სისტემამაც უნდა იტვირთოს თავისი წილი მოვალეობები. რელიგიასთან ზიარება ადრეული ასაკიდანვე უნდა მოხდეს ოჯახშიც, სკოლებშიც . . .

უდიდესია რადიოტელეკომუ-

ნიკაციებისა და პრესის როლიც. აქაც დამსწრე საზოგადოების ერთსულოვნება გამოიკვეთა. ხომ ცხადია, რომ გადაცემებში ნაკლებადაა პროგრამები, ეროვნულ სულისკვეთებას რომ აღვივებდეს, პატრიოტიზმის განცდას რომ ნერგავდეს. ტელესერიალები, ასე რომ წალეკეს დღევანდელი ტელემაუწყებლობა, ზნეობრიობის გაჯანსაღების ნაცვლად რას ემსახურება?! ფუჭ გატაცებებს, ამაოების, ფულის, მატერიალური კეთილდღეობის ტრფიალს, სექსის პირველადობას, ლამის ცხოველურ დონეზე მის აღზევებას და სხვა ათასგვარ სისაძაგლეს. სერიალების ერთი გმირი მაინც თუ უნახავს ვინმეს წიგნით ხელში?! ფუფუნებით გამშვენებულ საცხოვრებელ ინტერიერებში ერთი წიგნის კარადა მაინც თუ გაჭაჭანებულა?! რა შეიძლება ამ სერიალთა მაყურებელმა ისწავლოს, ჯანსაღი ცხოვრების წესით აღსაჭურვად შეიმეცნოს?! საპატრიარქოს ტელეარხის გარდა სადმე მაინც თუ გაისმის ჩვენი სახელოვანი ადამიანების სახელ-გვარები, ან კიდევ მათი ბრძნული ნააზრევი, საამაყო, გმირულ, მისაბაძ, სამაგალითო საქციელთა გახსენება?! არსად!!!

ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული ქართული სპორტის მუზეუმის მცველ, სპორტის დამსახურებულ მოღვაწე ლილი ლომსაძეს ყველა დაეთანხმა იმაშიც, რომ ჯანსაღ სხეულში სულიც ჯანსაღია. ამისათვის კი საჭიროა ახალგაზრდა თაობის გაჯანსაღებაზე დღენიადაგ ზრუნვა, ანუ ფიზიკურ ვარჯიშს დიდი ადგილი უნდა დაეთმოს სასწავლო პროგრამებში, ყოველდღიურ განრიგში, ისე, როგორც ეს წარსული საუკუნის დამდეგს მოიმოქმედა ეროვნული სულით გამსჭვალულმა საზოგადოებამ, ,,შევარდენი“ რომ ერქვა სახელად. ამ საზოგადოებას სათავეში, სხვებთან ერთად, დიდი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მაღალი პატრიოტული შეგნების პიროვნება ნიკო ნიკოლაძე ედგა, საკუთარ მაგალითსაც აძლევდა. ახლაც ასე უნდა მოხდეს, ქვეყნის სათავეში მოსული პიროვნებები თავიანთი ქცევით მაგალითს უნდა იძლეოდნენ.

კიდევ ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხზე გაიმართა საუბარი, მსჯელობა. დასასრულს შეხვედრის ერთმა მონაწილემ გაიხსენა ბრძნული ქართული სიტყვა - ძალაუფლება. ძალა, თუკი არსებობს, ხოლო მას უფლება არ გააჩნია, ძნელად თუ მიაღწევს დასახულ მიზანს. უფლებაც, ძალ-ღონის გარეშე, თითქმის ვერ გავა ფონს! აი ძალა და უფლება როცა გაერთიანდება, მაშინ კი ბევრი რამ არა თუ შესაძლო, იოლიც კი შეიძლება გახდეს. ვის ხელშია ძალაც და უფლებაც - ხელისუფლების! ვთქვათ, თუ განათლების სამინისტრო ბრძანებს, რომ სკოლებში ქრისტიანულმა მოძღვრებამ დაიკავოს პირველადი ადგილი, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებმა წინა პოზიციებზე წამოიწიოს და ცურვა, კალათბურთი, ჭიდაობა თუ სხვა რამ, ძვირადღირებული ფუფუნება კი აღარ იყოს, არამედ ყველასთვის ხელმისაწვდომი და სავალდებულოც კი შეიქნეს, ძალა და უფლება თუ გაერთიანდება, ე.ი. იგი სახელმწიფოს ხელში მოიყრის თავს და კეთილი ნება იბატონებს, ყველაფერს მოევლება, დადგება თავთავის ადგილას!

შეხვედრის მიმდინარეობის პათოსი ამგვარად შეიძლება შეჯამდეს: მცირერიცხოვან ერებს, რომელთაც განვითარებული უძველესი კულტურა აქვთ, არ უნდა ჰქონდეთ წინააღმდეგობრივი ხასიათი, უნდა ეყრდნობოდნენ იმას, რომ ერი და ეკლესია ლოკალურ ცივილიზაციას წარმოადგენს, მას ახასიათებს განსაკუთრებული ტიპის სულიერი ფასეულობები. ეს თვითმყოფობა შეიცავს მძლავრ შემოქმედებითსა და სასიცოცხლო პოტენციალს, რაც ერის სიცოცხლის ხანგრძლივობის საწინდარია. ეს ისტორიულად დამტკიცებული თეზისი მოითხოვს ეროვნული სულიერი ფასეულობების შენარჩუნებას, მაგრამ ახალ, თანამედროვე ფორმებში და მოითხოვს უცხო ფასეულობების ჩანერგვის წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას.

ამ ზოგადსაკაცობრიო საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ თითოეული ჩვენგანის მონაწილეობით არის შესაძლებელი - ეს იყო შეკრებილთა საერთო აზრი.

*რუსუდან ქუთათელაძე*

# შეხვედრა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის 2013 წლის ლაურეატებთან

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი ის კერაა, სადაც აფხაზეთის მიწის მკვიდრთ და მათ გულშემატკივრებს საშუალება ეძლევათ დროდადრო (შეიძლება ითქვას, საკმაოდ ხშირადაც) დაგუბებული სევდიანი და ტკივილიანი სათქმელი ამოთქვან. აქ იმართება საზეიმო, სასიხარულო შეხვედრები, მაგრამ მაშინაც საგრძნობია ის მოუშუშებელი იარა, რომელიც ამჟამად ჩვენთვის დაკარგულ მიწა-წყალს უკავშირდება.

ასეთი საზეიმო და სასიხარულო თავყრილობა შედგა 11 ივლისს, რომლის მიზანი იყო შოთა რუსთაველის პრემიის ახალ ლაურეატებთან - პოეტ **გენო კალანდიასა** და კომპოზიტორ **ვაჟა აზარაშვილთან** შეხვედრა და რომელზე მოწვევაც სიამოვნებით მივიღე. ამ ღონისძიებაში მონაწილეობა ჩემთვის ორმაგ პატივად მივიჩნიე. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვაჟა აზარაშვილი იმ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის სახელიც საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლისათვის მნიშვნელოვანია, მითუმეტეს ჩემთვის, მუსიკოლოგისათვის, რომელიც დამსწრე იყო მისი თითქმის ყველა ნაწარმოების პრემიერის, დაწყებული სიმღერიდან სიმფონიებითა და ბალეტით დამთავრებული. ის ნამდვილად გამორჩეულია, რაც მისი მუსიკის ფასეულობასთან ერთად ცხოვრების წესმაც განსაზღვრა - იგი ყოველთვის საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულშია, რაც არანაირ დაღს არ ასვამს მის შემოქმედებით ნაყოფიერებას. მეორეც, საშუალება მეძლეოდა პირადად მიმელოცა ხელოვნების უმაღლესი ჯილდოს მინიჭება ბატონი გენოსათვის, პოეტისათვის, რომელსაც ჩვენი ოჯახი ჯერ კიდევ

სოხუმიდან იცნობდა და რომელთანაც ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს. ბატონ გენოს მამაჩემი - ანტონ წულუკიძე, დედა - ნინო ჟღენტი და მე, არაერთხელ შევხვედრივართ მამიდაჩემის, საქართველოს სახალხო არტისტის, სოხუმის დრამატული თეატრის წამყვანი მსახიობის თინა ბოლქვაძის ოჯახში.

იმდღევანდელი საზეიმო თავყრილობა ცენტრის ხელმძღვანელმა, ჩვენმა სასიქადულო ქალბატონმა, მუსიკისმცოდნე სვეტლანა ქეცბამ გახსნა. "თავდაპირველი ჩანაფიქრით, - აღნიშნა მან, - შეხვედრა მხოლოდ ერთ ლაურეატს, აფხაზეთის მკვიდრს, სახელოვან პოეტს - გენო კალანდიას უნდა დასთმობოდა. მაგრამ რომ დავუფიქრდით, ჩვენი სახელგანთქმული კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი იმდენად ახლობელი ადამიანია აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრისათვის, იმდენი რამ აკავშირებს მას აფხაზეთთან - სოხუმთან, რომ აუცილებლად მივიჩნიეთ ისიც ბატონ გენოსთან ერთად დღევანდელი შეხვედრის გმირად გვექცია".

ძალიან ამაღელვებელი სიტყვები წარმოთქვა პოეტმა დარიკო ფიფიამ გენო კალანდიას მისამართით: - გენო კალანდია, - განაცხადა მან, - სულიერი მოძღვარია სიყრმის წლებიდან მოყოლებული, არამხოლოდ ჩემთვის, არამედ ჩემი თაობის აფხაზეთიდან წამოსული ყველა პოეტისათვის: რობერტ მესხისთვის, მანონ ბულესკირიასათვის და ა. შ. მისი პოეზია და პიროვნება გზას გვინათებდა. ბედნიერება იყო, რომ ის წლების მანძილზე აფხაზეთში სათავეში ედგა მწერალთა კავშირს, ბედნიერებაა, რომ ახლაც აგრძელებს ამ ხაზს - უძღვება რა აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებით კავშირს, სადაც გაერთიანებული არიან ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლები. ბატონი გენოსათვის რუსთაველის პრემიის მინიჭება ყველა ჩვენგანისათვის საამაყო და სასიხარულოა, მეტადრე მისი ლექსების კრებული "ფესვები" ნამდვილად იმსახურებს უმაღლეს ჯილდოს. აქ თვალსაჩინოა მისი შემოქმედება თავისი ფერწერულობით, მრავალფეროვნებით (როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით, მას ხომ პოეტურ ფორმათა მთელი სპექტრი აქვს გამოყენებული). - გამომსვლელმა დიდი შთაგონებით წაიკითხა ამ კრებულში შესული ლექსი "ანდერძი, ანუ ბალადა იადონზე". მისი თქმით, ეს არის ბატონი გენოს შემოქმედების თავგვირგვინი, ანდერძი, გაჯერებული აფხაზეთის სიყვარულით, მონატრებით, ტკივილით, მოლოდინით...

დარიკო ფიფიას შეუერთდა მის მიერ უკვე ნახსენები პოეტი რობერტ მესხი, რომელმაც მადლობა გადაუხადა გენო კალანდიას მთელი თაობის მიმართ მამობრივი მზრუნველობისათვის, მისი პოეზიისათვის, მადლობა გადაუხადა სულიერებისა და კულტურის ცენტრს ამ წუთებისათვის.

წარსულის ბევრი სახალისო და გონებამახვილური ეპიზოდი გაიხსენა თავად ბატონმა ვაჟამ, რომელიც უშუალოდ სოხუმთან, სოხუმის კომპოზიტორთა სახლთან იყო დაკავშირებული და რამდენიმე საკუთარი ეროვნული, ქალაქურ ფოლკლორზე ამოზრდილი სიმღერის შესრულებით დაატკბო ამ სიხარულის გასაზიარებლად მოსული ადამიანები.

თავყრილობაზე დამსწრე საზოგადოების სახელით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ინდირა ძაგანიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ხუბუამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ვახტანგ ყოლბაიამ, დიდი მადლიერება გამოხატეს საღამოს მთავარი გმირების - პოეტ გენო კალანდიასა და კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის, აგრეთვე, აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მიმართ, რომელიც თუნდაც ამგვარი დაუვიწყარი შეხვედრებით, ნამდვილად ამართლებს თავის სახელწოდებას.

*თამარ წულუკიძე*

# „იხსენით ჩვენი სულები"

სწორედ ამ დასახელების სპექტაკლით იწვევდა მაყურებელს უსინათლოთა დრამატული თეატრი, ათონელზე განთავსებულ კამერულ დარბაზში, თავიანთი მოკრძალებული ნამუშევრის გასაცნობად. სცენაზე გათამაშებულ ეპიზოდებს უფრო ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციას დავარქმევდი, ვიდრე სპექტაკლს. ზურაბ კანდელაკის პიესა ბევრ პრობლემურ კითხვას წამოჭრის განსასჯელად; მათზე პასუხის ამომწურავად გაცემა მეტად რთულია, თითქმის შეუძლებელიცაა, მაგრამ დახვავებულ პრობლემათა არსში ჩაღრმავების მცდელობაც ხომ, სულიერების კათარზისის გზაზე, უდავო მიღწევაა.

ამ პრობლემათა შორის გამჭოლ ხაზად გამოიკვეთება აფხაზეთის თემა, რაც მოლოდინით გათანგულ წლებთან ერთად დამოკლეს მახვილივით თრგუნავს ქართველი ერის ფსიქიკას. ბუნებრივია, რომ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა (ხელმძღვანელი სვეტლანა ქეცბა) თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადა სრულიად საქართველოს სატკივარით აფორიაქებულ ჩვენს სისხლხორცეულ თანამოძმეთ. დიდად დასაფასებელია სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივა, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა ერთ ჯგუფს მაყურებლის სამსჯავროზე გამოეტანა თავისი ნაფიქრ-ნააზრევი.

თეორიულად ძნელად თუ წარმოვიდგენთ, რომ უსინათლო ადამიანებს აქვთ ჟინი და მისწრაფება, აქტიურად იღვაწონ ხელოვნების რთულ სარბიელზე, მაგრამ ისიც ხომ კარგად მოგვეხსენება, რომ ხელოვნებას საზღვრები არა აქვს. კონკრეტულ მაგალითზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ თეატრალური ხელოვნების მაგიურ ძალას ალტერნატივა არ გააჩნია. ამაზე მეტყველებდნენ სპექტაკლის მონაწილეთა ფიზიკურად თუმც მინავლებული, მაგრამ შინაგანი სხივით გაცისკროვნებული თვალები, სიცოცხლის სიყვარულით აღტკინებული შემართება.

ნაწარმოების სცენურ ვარიანტში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის უმნიშვნელოვანეს ზნეობრივ და მორალურ აქცენტებზე ამახვილებს დამდგმელი ჯგუფი ყურადღებას. სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირი არ უნდა იყოს, ამიტომაც ერთგვარ ღაღადისად ჟღერს მოწოდება: ,,იხსენით ჩვენი სულები." ეს ყველა ჩვენგანს თანაბრად ეკუთვნის, დიახ, უნდა შეევედროთ ღმერთს, რათა განვიწმინდოთ ქვენა გრძნობებისაგან, უფრო გლობალურად თუ შევხედავთ - ყოველგვარი უკეთურობისაგან. სარკასტულად ჟღერს ,,კურდღელთა ჯიშის" განქიქება. ფიცხელ ომში კურდღლად ნუ გადავიქცევით, დიდი კურდღელი პატარა კურდღლისგან არაფრით განსხვავდება... სამწუხაროდ, ჩვენი ეს მანკიერი სენი ზოგჯერ სამარცხვინოდ შეგვახსენებს ხოლმე თავს!..

წარმოდგენის მსვლელობის დროს უნებურად თვალი შევავლე მაყურებლებს, რომელთა უმრავლესობა აფხაზეთიდან დევნილი იყო. მათ სხივჩამდგარ თვალებში ისეთი სულიერი მღელვარება და თანაგრძნობა ამოვიკითხე, რომ უყოყმანოდ შეიძლება დავასკვნათ - ექსპერიმენტმა გაამართლა!

ამ პატარა ზეიმის მოწყობისთვის, სამთვიანი დაძაბული შრომის შედეგად, მადლობის მეტი რა გვეთქმის პიესის ავტორისა და კონსულტანტის ზურაბ კანდელაკის, დამდგმელი რეჟისორის ალექსანდრე ლაბაძის, მხატვარ ნინო თაყაძის, სცენისმოყვარეთა: ირმა ჩიხლაძის (ანა), ზვიად ფხიკლეშვილის (კაცი), სურენ მანუკიანის (დოქტორი მენტა), რევაზ ტატალაშვილის (ექიმი), ლელა წიკლაურის (ლიზა), დავით ყვირილიანის (რეზო), ამირან ღოღაძის (გიორგი); 202-ე უსინათლოთა სკოლა-პანსიონის მოსწავლეების: ნიკა წიკლაურის, მარეხ ალანიას, ნატალია გორგიშვილისა და გიორგი ქევხიშვილის მიმართ.

კვლავაც ემძლავროს ჩვენი თანამემამულეების შინაგან ენერგიას გარე დაბრკოლებების დასაძლევად!

*ვაჟა ძიგუა*

# 3 აგვისტო - ზაქარია ფალიაშვილის დაბადების დღე

ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ქართული მუსიკის კლასიკოსის დაბადების დღე აღინიშნა. ამ მუზეუმთან აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი სისტემატურად თანამშრომლობს. ამჯერადაც, კომპოზიტორის აფხაზურ მუსიკასთან კავშირზე ისაუბრა მუსიკოლოგმა სვეტლანა ქეცბამ. მან გაიხსენა, რომ კომპოზიტორი საკმაოდ ხშირად ჩამოდიოდა სოხუმში, ჩერდებოდა მისი ნიჭის თაყვანისმცემლის ქალბატონ შანშიევას ბინაში, სადაც ხვდებოდა აფხაზური ხალხური მუსიკის ცნობილ მცოდნეს ივან ლაკერბაის და მის მიერ ნამღერი რიგი აფხაზური სიმღერა ნოტებზე გადაჰქონდა. აფხაზური ფოლკლორი იმდენად იზიდავდა კომპოზიტორს, რომ მან მიმართა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნესტორ ლაკობას წინადადებით ექსპედიციის ორგანიზების თაობაზე, აფხაზური ხალხური სიმღერების ჩაწერის მიზნით. თუმცა, ექსპედიცია არ განხორციელებულა. მიზეზი გახდა ის, რომ იმ დროისთვის უკვე არსებობდა ხელშეკრულება კონსტანტინე კოვაჩსა და კონდრატ ძიძარიასთან, რომლებიც ახორციელებდნენ სიმღერების ჩაწერას და 30-იანი წლების დასაწყისში შეძლეს კიდეც მათი გამოცემა. კომპოზიტორს ინტერესი აფხაზური სიმღერისადმი სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია, რასაც ადასტურებს მისი საორკესტრო სიუიტა, რომლის სამი ნაწილი აფხაზური სიმღერის მასალაზეა შექმნილი.

აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი. როგორც ცნობილია, ზაქარია ფალიაშვილი უკრავდა ვალტორნაზე. მისი კუთვნილი საკრავი აღმოჩნდა აფხაზეთის მუსიკალური სასწავლებლის საკრავთა კოლექციაში. შემდგომში, როგორც ძვირფასი რელიქვია, გადაეცა მემორიალურ სახლ-მუზეუმს, სადაც ის დღემდე ინახება.

ზაქარია ფალიაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილმა საღამომ ფალიაშვილის მუსიკის მრავალი შემსრულებელი და გულშემატკივარი მიიზიდა. ბევრი რამ საინტერესო შეიძლებოდა მოგესმინათ ცნობილი რეჟისორის გიზო ჟორდანიას, რომელსაც ფალიაშვილის ოპერების არაერთი დადგმა განუხორციელებია, მხცოვან მუსიკოლოგ გულბათ ტორაძისა და სხვ. გამოსვლებიდან. ჟღერდა ფალიაშვილის მუსიკა, მუსიკა, რომელიც მისი ხალხის მონაპოვრად იქცა.

# ემიგრანტი მაყურებელი პატრიარქთან

ემიგრანტი ქართველების ინიციატივით 8 ივლისს აჭარაში გაიხსნა მუსიკალური ფესტივალი "მზიანი საქართველო". მასში როსტოვში არსებული ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი "კოლხიდა" (ხელმძღვანელი ზაზა სულავა) მონაწილეობდა. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელმა თქვა. ჯგუფში 50-მდე მოცეკვავეა, ძირითადად აფხაზეთიდან ლტოლვილი, რომელთა უმეტესობა რუსეთში დაიბადა. სამშობლოსთან რომ კავშირი არ გაწყვიტონ, სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდა ანსამბლი.

აჭარის შემდეგ "კოლხიდის" წევრები თბილისს ეწვივნენ. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის სვეტლანა ქეცბას ძალისხმევით ისინი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მიიღო, დალოცა და მალე სამშობლოში დაბრუნება უსურვა.

შეხვედრაში მონაწილეობდა, ასევე, აფხაზეთის ფინანსათა სამინისტროს განყოფილების უფროსი ეკატერინე ზუხბაია.

# ჩამოყვანება ედესით კონსტანტინოპოლს ხელთუქმნელისა ხატისა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (944); აღსრულება - ძაძა ანტონიმ ძალუფლებაში 16 (29) აგვისტო

ჩამოყვანება ედესით კონსტანტინოპოლს ხელთუქმნელისა ხატისა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. გადმოცემის თანახმად, სირიაში მაცხოვრის ქადაგების დროს ქალაქ ედესის მმართველი იყო ავგაროზი. იგი უკურნებელ სენს შეეპყრო. ექიმებმა დავრდომილის გადარჩენის ყოველგვარი იმედი დაკარგეს. ავგაროზმა, რომლის ყურამდეც მიაღწია ხმამ იესო ქრისტეს სასწაულების შესახებ, ირწმუნა მისი, როგორც მესიისა და გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვდა, ჩასულიყო მასთან და დაეხსნა სნეულებისაგან; თან, იუდეველთაგან დევნილსა და შევიწროებულს, თავის ქალაქს სთავაზობდა საცხოვრებლად. ეს ეპისტოლე ედესის მთავარმა მხატვარ ანანიას გაატანა იუდეაში და თან ქრისტეს სახის დახატვაც დაავალა. მხატვარი ჩავიდა მაცხოვართან, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ვერ შეძლო მასთან მიახლოება. მაშინ იგი შემაღლებულ ადგილას დადგა და შეეცადა, ქრისტეს სახე ქარტაზე გადაეტანა. მისი ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა - არაამქვეყნიური მადლით გაბრწყინებული სახის დახატვა ვერ ხერხდებოდა. ამასობაში იესომ, რომელიც ხედავდა ანანიას მცდელობას, სახელით მოუხმო მას და ავგაროზის წერილი მოსთხოვა.

მთავრის სათხოვარი რომ წაიკითხა, ქრისტემ წყალი და პირსახოცი მოატანინა, პირი დაიბანა და ოთხად გაკეცილი ტილოთი შეიმშრალა. მასზე სასწაულებრივ გამოისახა მაცხოვრის სახე. ამ ხელთუქმნელ ხატთან ერთად იესომ ავგაროზს გამოუგზავნა ეპისტოლე, რომელშიც წერდა: „ნეტარ ხარ შენ, ავგაროზ, რამეთუ არა გიხილავ და გრწმენე... შენთან მოსვლას მთხოვ, მაგრამ მე იმ საქმის აღსრულება მმართებს, რომლისთვისაც მოვლენილი ვარ, შემდეგ კი ჩემს წარმომგზავნელ მამასთან უნდა დავბრუნდე. მასთან ამაღლების შემდეგ გამოგიგზავნი ჩემს ერთ-ერთ მოწაფეთაგანს, რომელიც სრულიად განგკურნავს და სიცოცხლეს მოგანიჭებს შენ და სხვებსაც შენთან ერთად„.

გახარებული ანანია ედესისკენ გაემართა. იერაპოლთან მას შემოაღამდა და ქალაქის განაპირას მცხოვრებ მექოთნესთან გაათია ღამე, ხატი კი იმის შიშით, რომ არ დაზიანებულიყო, ორ გამომწვარ კეცს შორის ჩაასვენა. შუაღამისას ზეციდან გადმოეშვა და ხატს დაადგა ცეცხლის სვეტი, რომელმაც ქალაქის თავის ყურადღებაც მიიქცია. მას ხატის შექმნის ისტორია უამბეს, ხოლო როცა იგი კეცებიდან ამოასვენეს, ნახეს, რომ მაცხოვრის სახე ზემო კეცზეც გადასულიყო. გამგებელმა ის კეცი თავის სასახლეში წაასვენა. მე-6 საუკუნეში მაცხოვრის ხატიანი კეცი მონოფიზიტური მწვალებლობის მიმდევართა ტაძარში მოხვდა. იქ იგი ნახა წმიდა ანტონ მარტყოფელმა, ათცამეტ მამათაგან ერთ-ერთმა და ეს დიდი სიწმიდე მწვალებელთა ხელში რომ არ დარჩენილიყო, ფარულად წამოაბრძანა; როცა წმიდანი იოანე ზედაზნელთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა, ხატიც თან გამოიყოლა. ცნობილია, რომ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატიდან კეცზე გადასული ასლი ანტონ მარტყოფელის გარდაცვალების შემდეგ მარტყოფში ინახებოდა. მასთან მიახლებით სასწაულებრივ განკურნებულა საქართველოს დასნეულებული მეფე დავით VII ულუ (1246-1270); საქართველოს მეფის, გიორგი VII-ს (1393-1407) მეფობაში, თემურ-ლენგის შემოსევებისას, გიორგი მარტოდმყოფელმა კეცი მაცხოვრის გამოსახულებით უსჯულოთა შიშით ყველასათვის უცნობ ადგილას გადამალა. მოგვიანებით გიორგი მარტოდმყოფელი მოწამეობრივად აღესრულა და თან წაიღო ამ დიდი სიწმინდის ადგილსამ-ყოფელის საიდუმლო.

რაც შეეხება ხელთუქმნელი ხატის პირველ პირს, იგი ანანიამ ედესაში ჩაასვენა. ავგაროზმა, რომელიც უკვე ექვსი წელი იყო, რაც საწოლს მიჯაჭვოდა, სიხარულით მიიღო მაცხოვრის წერილი და ხატი და იმავ წამს ტკივილებისაგან განთავისუფლებაც იგრძნო, მაგრამ მის სახეზე კეთრის კვალი მაინც დარჩა უფლისგან აღთქმული მოწაფის, სამოცდაათთაგანი მოციქულის, თადეოზის (ხს. 21 აგვისტოს) ჩასვლამდე, რომელმაც სახარება უქადაგა და ნათელსცა ქალაქის მმართველსაც და მთელ მის სახლეულსაც. ავგაროზმა ხელთუქმნელი ხატი ფიცარზე დააკვრევინა, ზედ წააწერა: „ქრისტე ღმერთო, ყოველთა, რომელთა ჰრწმენეს შენი, არასადა რცხუენეს„, შეამკო იგი და ქალაქის ბჭეებს ზემოთ გამოკვეთილ ნიშში დააბრძანა, იქ, სადაც უწინ კერპი იდგა.

მრავალი წლის მანძილზე ედესაში არსებობდა წმიდა ჩვეულება, რომ ქალაქში ყოველ შემსვლელსა და გამომსვლელს თაყვანი ეცა ამ დიდი სიწმიდისათვის; მაგრამ შემდგომ ავგაროზის ერთ-ერთმა კერპთმსახურებაში ჩავარდნილმა შვილთაშვილმა გადაწყვიტა, ჩამოეხსნა ხატი და მის ნაცვლად კვლავ ცრუღმერთის ქანდაკი აღემართა. ამ უსჯულო განზრახვის შესახებ უფალმა წინასწარ განუცხადა ედესის ეპისკოპოსს, რომელიც ღამით თავის მღვდელმსახურთა დასთან ერთად მივიდა კარიბჭესთან, ხატის წინ კანდელი დაანთო და ნიში თიხის ფირფიტითა და აგურებით ამოაშენა. გადმოცემით, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თაყვანსაცემად ედესაში მოციქულთასწორი წმიდა ნინოც მისულა გაიანესთან და რიფსიმესთან ერთად.

გავიდა მრავალი წელი. ქალაქის მცხოვრებლებმა სრულებით დაკარგეს ღვთის შიში, ისიც გადაავიწყდათ, თურა სიწმიდის მფლობელები იყვნენ. 539, სხვა ცნობით - 545 წელს სპარსთა მეფე ხოსრო თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქრით მოადგა ედესას. ქალაქის მდგომარეობა უიმედო ჩანდა. სწორედ ამ დროს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ეპისკოპოს ევლავიოსს და უბრძანა, ამოქოლილი ნიშიდან გამოესვენებინა ხატი, რომელიც მათ გადაარჩენდა. მღვდელმთავარმა ხილვაში მინიშნებულ ადგილას კედელი გამოარღვია და სიწმიდე გამოასვენა. მის წინ კვლავ ენთო კანდელი, თიხის ფირფიტაზე კი სხვა, ხელთუქმნელი ხატის მსგავსი გამოსახულება გაჩენილიყო. ლოცვისა და ლიტანიობის შემდეგ მტრის ბანაკში არეულობა გაჩნდა და ხოსრო იძულებული გახდა, მეომრებისათვის უკან დახევა ებრძანებინა.

630 წელს ედესა უკვე არაბებმა დაიპყრეს. ისინი ხელს არ უშლიდნენ ხელთუქმნელი ხატის თაყვანისცემას, რომლის დიდებაც უკვე მთელს აღმოსავლეთს მოედო. 944 წელს იმპერატორმა კონსტანტინე VII პორფიროგენეტმა (912-959) გადაწყვიტა, სიწმიდე მართლმადიდებლური სამყაროს მაშინდელ ცენტრში - კონსტანტინოპოლში გადაესვენებინა. ედესის ამირა დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს ორასი სარკინოზი ტყვის განთავისუფლების, 12 ათასი ვერცხლის მონეტისა და ედესაზე თავდაუსხმელობის პირობის საზღაურად დათმო ხელთუქმნელი ხატი და ავგაროზისადმი მიწერილი წერილი, რომლებიც 944 წლის 16 აგვისტოს სამღვდელოებამ დიდი პატივით გადაასვენა კონსტანტინოპოლში. ერთი ცნობით, იგი წმიდა სოფიას ტაძარში დააბრძანეს, სხვა წყაროთა მოწმობით კი - ფაროსის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში.

მაცხოვრის ხატი კონსტანტინოპოლში XIII საუკუნის დამდეგამდე ინახებოდა. ამ პერიოდისათვის ტილო _ ხელთუქმნელი ხატი მოაშორეს ფიცარს, რომელზეც მაცხოვრის გამოსახულება სასწაულებრივად იყო გადასული.

XIII საუკუნის დასაწყისში კონსტანტინოპოლში მწვავე პოლიტიკური ვითარება შეიქმნა _ მაჰმადიანური სამყაროს გარდა მას კათოლიკური ევროპაც უტევდა. 1204 წელს კონსტანტინოპოლი ევროპელმა ჯვაროსნებმა აიღეს. ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად ამ ხანებში ტილო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატით ვენეციის დოჟს, დონდოლოს გადაეცა. ამ უკანასკნელმა სიწმინდე ვენეციაში გააგზავნა გემით, რომელიც მარმარილოს ზღვაში ჩაიძირა. სხვა მოსაზრებით, შესაძლებელია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი იმ სიწმინდეთა შორის მოხვდა, რომელიც საფრანგეთის მეფემ, ლუი IX-მ კონსტანტინოპოლში შეიძინა და პარიზში წაიღო.

რაც შეეხება ფიცარს, რომელზეც ხელთუქმნელი ხატი იყო დაკრული და რომელზეც გამოსახულება სასწაულებრივ გადავიდა: იმ მიზნით, რომ ეს უდიდესი სიწმინდე მართლმადიდებლურ სამყაროს როგორმე შეენარჩუნებინა, იგი კონსტანტინოპოლიდან საქართველოში, კერძოდ, მთიან კლარჯეთში გადაასვენეს და ანჩის საყდარში დააბრძანეს. ამ პერიოდიდან ხელთუქმნელ ხატს ანჩისხატი ეწოდა. საქართველოში მას პირი ღვთის ხატსაც უწოდებდნენ. ანჩელმა მთავრეპისკოპოსმა იოანემ თამარ მეფეს ხელთუქმნელი ხატის ძვირფასი თვლებით შემკობის ნებართვა სთხოვა. ხატი დიდი ხელოვნებით მოჭედა სახელოვანმა ოქრომჭედელმა ბექა ოპიზარმა, ხოლო იოანე ანჩელმა კლარჯეთში შემობრძანებულ ამ უდიდეს სიწმინდეს საგალობელი მიუძღვნა. ანჩში მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის თაყვანისაცემად საქართველოს ყოველი კუთხიდან მიდიოდნენ ქართველი ერის ყველა ფენისა და წოდების წარმომადგენლები.

1453 წელს კონსტანტინოპოლი ოსმალთა ხელში გადავიდა. ამის შემდეგ უსჯულოებმა საქართველოს სამხრეთ პროვინციებსაც შემოუტიეს. ქართველები საკუთარ მიწა-წყალს მამაცურად იცავდნენ, მაგრამ მტერი რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა მათ და ამიტომ ნელ-ნელა მოიწევდა წინ. ამ დროს ხელთუქმნელი ხატი ანჩიდან ახალციხეში გადაუსვენებიათ, საიდანაც იგი ჯერ სოფელ ჭალში მოხვდა, იოთამ ამილახვარის ოჯახში, შემდეგ კი - თბილისში ჩამოაბრძანეს და საკათოლიკოსო ტაძარში მიუჩინეს ადგილი. ამის შემდეგ საკათედრო ტაძარსაც, რომელიც VII საუკუნეში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელზე იქნა აგებული, ანჩისხატი ეწოდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ანჩისხატი სახელმწიფო მუზეუმში გადაასვენეს, სადაც იგი დღესაც ოქროს საცავშია დაბრძანებული.

***„წმიდანთა ცხოვრება„, ტომი III,***
***თბილისი, 2001 წ.***

# საეკლესიო კალენდარი

**1 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-10 კვირა** – მოწ. ანდრია სტრატილატის და მისთანა 2593 მოწამეთა ხსენება (284-305წ.);
**2 სექტემბერი (ორშ.)** – წინასწარმეტყველ სამუელის ხსენება (XI ს. ქრისტეს წინ). **ᲓᲘᲓᲒᲝᲠᲝᲑᲐ**
**3 სექტემბერი (სამშ.)** – ღირ. თადეოზ სტეფანწმინდელის (VIს.) და მოციქულ თადეოზის, სამოცდაათთაგანის ხსენება (44წ.);

**8 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-11 კვირა** – მოწ. ანდრიანეს და ნატალიას ხსენება (305-311წ.);
**9 სექტემბერი (ორშ.)** – ღირ. პიმენი დიდის ხსენება (დაახ. 450წ.);
**10 სექტემბერი (სამშ.)** – წმ. მოწ. დედოფალ ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲘᲡ ხსენება (475წ.);
**11 სექტემბერი (ოთხშ.)** – თავისკვეთა პატიოსნისა დიდებულისა წინასსწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოანესი. ᲛᲐᲠᲮᲕᲐ!

**13 სექტემბერი (პარ.)** – დადება პატიოსნისა სარტყელისა ყოვლადწმინდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა (395-408წ.);

**14 სექტემბერი (შაბ.)** – გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ᲘᲜᲓᲘᲥᲢᲘᲡᲐ;
– ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის კრება მიასინეს სავანეში (864წ.);
**17 სექტემბერი (სამშ.)** – ღირ. სვიმეონის, გარეჯის წინამძღვრის, წინასწარმხედველისა და საკვირველთმოქმედის ხსენება (1773წ.);
**18 სექტემბერი (ოთხშ.)** – წმ. იოანე ნათლისმცემლის მშობელთა, წინასწარმეტყველ ზაქარიას და მართალ ელისაბედის ხსენება (Iს.);
**19 სექტემბერი (ოთხშ.)** – ხსენება საკვირველებისა მთავარანგელოზ მიქაელის მიერ კოლასეს შინა (ხონა) ქმნილისა (IVს.);
**21 სექტემბერი, ჯვართამაღლების წინა შაბათი** – **ᲨᲝᲑᲐ** ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა;
– წმ. აღმსარებელთა – იოანეს (მაისურაძე) და გიორგის (მხეიძე) ხსენება;
– დიდუბობა, გელათობა, შუამთობა, ბეთანიობა.
**22 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-13 კვირა** – წმიდათა და მართალთა მშობელთა ღმრთისათა ᲘᲝᲐᲙᲘᲛ და ᲐᲜᲐᲡ ხსენება;
**24 სექტემბერი (სამშ.)** – კრწანისის ბრძოლაში თავდადებულთა – **300 ᲐᲠᲐᲒᲕᲔᲚᲗᲐ** და სასულიერო და საერო პირთა ხსენება (1795წ.);
**25 სექტემბერი (ოთხშ.)** – წმ. მღვდელმთავრის გიორგი ჭყონდიდელის ხსენება (XIIს.);
**26 სექტემბერი (ხუთშ.)** – ჯვართამაღლების წინადღესასწაული:
– დიდმოწამე საქართველოს მნათობის, კახეთის დედოფლის ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜᲘᲡ ხსენება (1624წ.);
– ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲐ, რომელ არს ხსენება ქრისტეს აღდგომის წმ. ტაძრის განახლება იერუსალიმში (335წ.);
**27 სექტემბერი (პარ.)** – ᲯᲕᲐᲠᲗᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ. წმ. იოანე ოქროპირის მიცვალება (407წ.);
**28 სექტემბერი (შაბ.)** – ღირ. ამბა იოსებ ალავერდელის ხსენება (570წ.);
**29 სექტემბერი, სულთმოფენობიდან მე-14, ჯვართამაღლების შემდგომი კვირა** – მოწ. ორთა ძმათა – ისააკ და იოსებ ქართველთა, კარნუ ქალაქში წამებულთა (808წ.);
**30 სექტემბერი (ორშ.)** – მოწ. პისტის, ელპიდის, არაპისა და მათი დედის სოფიოს ხსენება (დაახ. 137წ.).
**1 ოქტომბერი (სამშ.)** – წმ. მთავარმოწამის ბიძინა ჩოლოყაშვილის და წმ. მოწამეთა შალვასი და ელიზბარის, ქსნის ერისთავთა ხსენება (1661წ.).

# ჩვენი მოძღვარი

## (ინტერვიუ წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის წინამძღვართან, დეკანოზ ბიძინა გუნიასთან)

*(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3)*

***– მამა ბიძინა, თქვენ მიერ ზემოთქმულის გარდა, სხვა რა მოტივაცია გქონდათ საპროტესტო აქციაში მონაწილეობის მისაღებად?***

– 17 მაისს განვითარებული მოვლენები, გარკვეული თვალსაზრისით, აისბერგს ჰგავს, რადგან ასეთად წარმოჩინდა იგი მავანთა მეცადინეობით. ანუ, ის, რაც ჩვენ „გვანახეს“ სატელევიზიო არხებით და „განგვიმარტეს“, აისბერგის ხილული ნაწილია. და რა უწყით მის წყალქვეშა, დაფარულ ნაწილზე? ნუთუ, ასეთ შემთხვევაში მთელი სისრულით შეიძლება გაანალიზება არსებული სი-ტუაციისა და სწორი დასკვნების გამოტანა, რათა მსგავსი რამ შემდეგომში აღარ განმეორდეს?!

საქართველოს მოქალაქეთა უდიდესი ნაწილი პარლამენტის (ყოფილი) შენობის წინა მდებარე ტერიტორიას **ცხრა აპრილის** მოვლენებს უკავშირებს. აქ ცხრა აპრილის გმირთა სისხლია დაღვრილი. აქ განსაკუთრებული ურთიერთობები უყალიბდებათ მოქალაქეებს. არაერთხელ მინახავს, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ცხრა აპრილის მემორიალთან დაღუპული გმირების სულთა საოხად პანაშვიდს იხდიდა, როგორ იდგნენ ერთმანეთის გვერდით (შესაბამისი დროის) პოზიციისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები, და თუ ვინმეს სანთელი ჩაუქრებოდა, როგორი მოკრძალებით აწვდიდნენ ერთმანეთს ანთებულ სანთლებს.

არავინ იფიქროს, რომ თითქოს ჩვენ გვძულდეს **ლგბტ** აქციის მონაწილენი. ეს სიცრუეა! ჩვენ ადამიანები არ გვძულს. **ჩვენ ვამხელთ და განვეშორებით სოდომურ ცოდვას,** რომელსაც ადამიანი უეჭველი დაღუპვისაკენ, სულიერი სიკვდილისაკენ მიჰყავს.

ადამიანს ღმერთმა გონიერება მისცა, მაგრამ, სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, ყველამ, ვინც პასუხისმგებელია დედაქალაქში განვითარებულ მოვლენებზე, არაერთი გარემოება უნდა გაითვალისწინოს. უპირველეს ყოვლისა ის, რომ პარლამენტის (ყოფილი) შენობის წინ ჩვენი წმინდა სალოცავი – **ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაა**, და არავის აქვს უფლება, საკრალური სივრცის ხელყოფისა. ნუთუ ისიც დაგვავიწყდა, რომ წინა დღე – 16 მაისი, გლოვის დღედ იყო გამოცხადებული, და ქაშვეთის ტაძარში საშობლოსთვის დაღუპულ სამ ვაჟკაცს დასტიროდა მთელი საქართველო?

აი, პასუხი თქვენს შეკითხვაზე. ჩვენ იქ იმიტომაც მივედით, რომ არ დაგვეშვა ჩვენთვის მნიშვნელოვან **საჯარო სივრცეში, რომელიც ჩვენთვის საკრალურია, სექსუალური უმცირესობის მიერ გაუკუღმართებული ცხოვრების პროპაგანდა!**

გახსოვთ ვაჟას სიტყვები:

„რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლეინებ
მოზღვავებულის ავითა!...

შენდობას ვითხოვთ 9 აპრილისა და სამი დაღუპული გმირის სულების წინაშე, თუ სათანადოდ ვერ დავიცავით და პატივი ვერ მივაგეთ მათ ხსოვნას.

***– მამაო, თქვენ აქ საკრალური სივრცე ახსენეთ. რით ავხსნათ ის გარემოება, რომ ზოგიერთ ადამიანს არც აქვს სივრცის საკრალურობის განცდა.***

– არ გაგიკვირდეთ. მსგავსი მაგალითები არაერთი გვაქვს. რიყეზე ბუდა ბარი გახსნეს?! არც ჰკითხეს საზოგადოებას, ეკლესიას, თუ რამდენად მისაღები იქნებოდა **ასი ათასი ქართველის მარტვილობის ადგილზე აღნიშნული ბარის არსებობა.** ან კიდევ, რიყის ერთ ნაწილში, გაურკვეველი შინაარსისა და ფორმის მქონე ორი „ვერცხლისფერი ნაგებობის“ ჩადგმა. ანდა სიონისა და ანჩისხატის ეკლესიებს შორის, საპატრიარქოს გვერდით (სადაც ბერ-მონაზვნები ცხოვრობენ) „კაზინოს“ არსებობა (და მისი გაფართოებაც კი).

ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ ის ადამიანები, რომლებიც თავიანთ ფესვებს მოწყდნენ, ნომინალურად არიან რა ქრისტიანები, სხვაგვარად ვერც იქცევიან. მათთვის, ალბათ, უცხოა და შეიძლება სიცილის მომგვრელიც ჩვენი მსჯელობა და მგოსანთა ზემომოხმობილი სიტყვებიც, მაგრამ ჩვენ, ვემიჯნებით რა ყოველივე გაუკუღმართებულს, სიტუაციის გამოსწორებისაკენ მოვუწოდებთ ყველას, ვისაც ეს ხელეწიფება და მათ შორის მასმედიასაც.

***– კვლავ ზემოთქმულს მინდა დავუბრუნდეთ და ჩაგეკითხოთ. აქამდე რატომ არავინ აღიმაღლა ხმა კრიმინალური ძალადობის იმ ფორმაზე, რომელსაც ფსიქოლოგიური ძალადობა ჰქვია? როგორც აღნიშნეთ, ძალადობის ეს ფორმაც დასჯადია.***

– 17 მაისის აქციაზე მასმედიის მიერ „ეკლესიის მსახურთა ძალადობის“ მძაფრი წარმოჩენა, ხოლო ლგბტ საზოგადოების მხრიდან განხორციელებული **ფსიქიკური ძალადობისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წევრთა უფლებათა აბსოლუტური უგულვებელყოფა,** ჩვენი აზრით, უახლოეს წარსულში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. დღე არ გავა, საეთერო სივრცეში 2006-2012 წლებში ყოფილ ხელისუფალთა მიერ ფსიქიკური ძალადობის შედეგად დაზარალებულ პიროვნებათა საკითხი რომ არ გაშუქდეს. რეალობაა, რომ იმ პერიოდში, როცა მსგავსი ქმედებები ხდებოდა, მასმედიის წარმომადგენლები დუმდნენ, ხმას არ იღებდნენ გაჩუქებულ ბიზნესებსა თუ უძრავ-მოძრავ ქონებაზე, ადამიანთა დაშინებასა თუ შანტაჟზე. არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ისინი, ვინც ცალმხრივად აშუქებენ 17 მაისის მოვლენებს, გარკვეულწილად, უთანგრძნობენ კიდეც ფსიქიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმებს.

***– ემუქრება თუ არა საქართველოს რელიგიური ფუნდამენტალიზმის საშიშროება, რაშიც ასე ცდილობენ დაარწმუნონ საზოგადოება?***

– გასაოცარია პირდაპირ, რას არ იტყვის ენა! ეკლესია, რომელიც წლების განმავლობაში მოუწოდებდა **საპატიმროებში მდგომარეობის რადიკალური გამოსწორების აუცილებლობაზე, ქურდული მენტალიტეტის მიუღებლობაზე და ამხელდა ხელისუფლებას განათლების სისტემაში არსებულ სერიოზული ხარვეზების არსებობაზე,** განა შეიძლება ფუნდამენტალიზმში დაადანაშაულო? იქნებ დაგვავიწყდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენები, როცა, საომარი მოქმედებების მსვლელობისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II ბერებთან ერთად ცხინვალის რეგიონში შევიდა და ველ-მინდვრებზე მიმოფანტული ჩვენი ვაჟკაცების ცხედრები ჩამოასვენა თბილისში? ან იქნებ, არც ის იცის მავანმა, რომ **საქართველოში სიკვდილით დასჯის აკრძალვა** ეკლესიის და უშუალოდ პატრიარქის ინიცირებულია? ამას მიიჩნევენ რელიგიური ფუნდამენტალიზმის გამოვლენად? ნუ დაავიწყდებათ ამ ფრაზის ავტორებს, რომ ეკლესია კონსტიტუციურადაა გამოყოფილი სახელმწიფოსაგან, განსხვავებით სეკულარიზებული სახელმწიფოებისაგან, და ის არასდროს ითხოვს რელიგიის ბაზისური მცნებების უპირობო მხარდაჭერას ან მის პირდაპირ რეალიზაციას. მე აქ კონსტიტუციურ უფლებებსა და ვალდებულებებზე ვისაუბრე და მოვლენის სამოქალაქო ახსნა გადმოვეცი. თუ ოჯახის, ღირსების, ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოსა და ახალგაზრდობის მავნე ინფორმაციისაგან დაცვის მოთხოვნა ვინმეს ფუნდამენტალიზმის გამოვლენიბად ესახება, მაშინ ამ საკითხზე სათქმელს წმინდა წერილის ერთი შეგონებით დავასრულებ: **„შვილნო, ნუსადა გაცთუნებენ შენ კაცნი უღმრთონი, ნუცა ინებებ სვლად გზათა მისთა“** (იგავ. 1, 10).

***– მამაო, საზოგადოების დიდ ნაწილს უჭირს დიდაქტიკური ხასიათის დარიგებების მიღება იმ პირთაგან, რომლებიც უახლოეს წარსულში არ გამოირჩეოდნენ მართლზომიერი ქმედებებით და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე არაადეკვატური პოზიცია ჰქონდათ. რით ავხსნათ ეს გარემოება?***

– ეს ადვილი ასახსნელია. ღირსი ისააკ ასური (VIს.) შეგვაგონებს: **„...ხორციელ სიამეთა მოყვარულთ და პირის პატივის მცოდნეთ (მუცელღმერთებს), რომელთაც ამქვეყნიური სიამენი გაუხდიათ ცხოვრების მიზნად, ისევე არ შეშვენით სულიერ საკითხთა განჩხრეკა და მათზე „ბრძნობა“, როგორც მეძავს ქალწულეობის შესახებ ქადაგად დავარდნა“.**

ამგვარად, უწყით რა, რომ საზოგადოების უდიდეს ნაწილს კარგად ახსოვს უახლოეს წარსულში ამა თუ იმ პიროვნების (ან პიროვნებათა ჯგუფის) არცთუ მართლზომიერი ქმედებები, და ისიც, რომ ამ ადამიანებს ჯეროვნად (სიღრმისეულად) არ გამოუხატავთ სინანული აღნიშნულ ქმედებათა გამო, ბუნებრივია, **მოქალაქეთა თავლში მათ „დარიგებებს“ დამაჯერებლობა აკლია.**

***– დღეს ბევრს საუბრობენ დიალოგის აუცილებლობაზე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, განსაკუთრებით კი სურთ სასულიერო პირების მოწვევა სხვადასხვა „თოქ-შოუებზე“. არის თუ არა სატელევიზიო სივრცეში ეკლესიის მსახურთა მონაწილეობის დეფიციტი?***

– ვფიქრობ, მასმედია არ არის მოკლებული სასულიერო პირებთან ურთიერთობას, თუმცა, როცა „თოქშოუებსა“ თუ სხვადასხვა საეთერო სივრცეში საუბრები უსაგნო ხდება და განსხვავებულ მიზნებს ემსახურება, ხოლო მოძღვართან „დიალოგი“ სეირის სახეს იძენს, თავის შეკავებაა საჭირო. აკი წმიდა ანტონი დიდი (251-356წ.წ.) შეგვაგონებს: **„როცა ისეთ ადამიანს შეხვდები, რომელსაც კამათი უყვარს და რომელიც ბრძოლას დაგიწყებს ცხადზე უცხადესი ჭეშმარიტების გამო, შეწყვიტე მასთან საუბარი, მსწრაფლ განერიდე ..., რადგანაც ასეთი ადამიანის გონიერება მთლიანად გაქვავებულია. როგორადაც დამყაყებული წყალი ყოვლად უხმარად შეიქმს საუკეთესო ღვინოს, თუკი მასში გავურევთ, ასევე ბოროტი საუბრები, თუნდაც იშვიათნი, განხრწნიან და წაბილწავენ ცხოვრებითა და ზნეჩვეულებებით სათნო ადამიანთა სულებს“** (საეკლესიო კალენდარი 1991წ. გვ. 222);

***– უკანასკნელი წლების განმავლობაში და განსაკუთრებით კი 17 მაისის მოვლენების შემდგომ, ბეჭდვით თუ სოციალურ მედიაში მართლმადიდებლობაზე და სასულიერო პირებზე უამრავი შეურაცხმყოფელი ტექსტი თუ ვიდეო ვრცელდება. რას გვეტყოდით ამის შესახებ?***

– ერთი ფსალმუნის სიტყვები მახსენდება: **„დადვეს ცათა შინა პირი მათი და ენა მათი ეთრია ქვეყანასა ზედა“** (ფს. 72.9.) -

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# „იხსენით ჩვენი სულები"

# ემიგრანტი ბავშვები პატრიარქთან

3 ივლისი – წმ.სამება. ჯვრის ჭარაკლისი ქვეყნისა და მამულისათვის. მამა დავით კონჯარია

ISSN 2298-0865

ბედიის ტაძარი

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი